ხელშეკრულება № 16
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(მომსახურების შესყიდვა)

ქ. გორი 23 ივნისი 2015 წელი

ერთის მხრივ ზერტის საბავშვო ბაგა ბაღი (შემდგომში – შემსყიდველი) ს/კ218078005 მისი დირექტორის მარიმა ტერუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ (შემდგომში – მიმწოდებელი) ოთარ ცარიელაშვილის სახით,(შემდგომში მიმწოდებელი) პ/ნ 59001080590 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია: საბავშვო ბაღში შეკეთდა სანტექნიკა

## 2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და წესი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.
2.2 გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.(CVP კოდი 50700000 )
2.3 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 125 ლარს
2.4. თანხის ანაზღაურება ხორციელდება მომსახურების გაწევიდან და შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენიდან 30 კალენდარულ დრეში.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით , რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 4. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 მიმწოდებელი უნდა უზრუნველყოს მხარეებს შორის მომსახურების გაწევა შეთანხმებული გრაფიკით, სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა შესაბამისად.,

## 5. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

5.1. **შემსყიდველი ვალდებულია:**
- უზრუნველყოს მისთვის გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვა.

5.2. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**
- მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში.
- იმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- თვითონ ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.
- მიმწოდებლისგან მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმება.

- 5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
- ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება.
- ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან.
- გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში,რომლის შემდეგადაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- შემსყიდველისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

## *6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

6.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 7 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,

7.2ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0.03 პროცენტს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. შაჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვადლებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

7.3 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *8. ფორს-მაჟორი*

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულობლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *9 დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *10. სხვა პირობები*

10.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყვეს ქართულ ენაზე.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10.6 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან 2015 წლის 23 იენისიდან 2015 წლის 23 ივლისამდე

## *11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

„შემსყიდველი":

ზერტის საბავშვო ბაგა ბაღი
ს/კ 218078005
ლიბერთი ბანკი LBRTGE22
ა/ა GE02LB0120111489261000

დირექტორი

" მიმწოდებელი":

ფ/პ ოთარი ცარიელაშვილი
პ/ნ 59001080590
ლიბერთი ბანკი
ა/ა

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.გორი 24 ივნისი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ზერტის საბავშვო ბაგა ბაღი ს/კ 218078005, მისი დირექტორის მარინე ტერუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ დავით რევაზიშვილი პ.ნ 59001014144 ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2015 წლის 23 ივნისის ხელშეკრულების № --- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ(მომსახურების შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად მიმწოდებელმა შემსყიდველს შეუკეთა სანტექნიკა, რაზედაც შემსყიდველმა მიმწოდებელს გადაუხადა 125 ლარი

აქტის ხისწორეს ვადასტურებთ ხელისმოწერით

შემსყიდველი

მიმწოდებელი